მე-4 კლასი

მეოთხე კლასის ტესტის ჯამური ქულაა 100. ტესტში წარმოდგენილია 4 სავარჯიშო და 30 საკითხი. ტესტი შედგება არჩევითპასუხიანი, დახურული დავალებებისგან. ტესტის გამსვლელი ქულაა 35.

სავარჯიშო 1: არსებითი სახელი

დავალება ამოწმებს მოსწავლის უნარს, განასხვავოს სულიერი და უსულო სახელები, ასევე ცოდნას არსებითი სახელის შესახებ. მოსწავლემ ასევე უნდა ამოიცნოს, რომელ ჯგუფს ეკუთვნის არსებითი სახელები – ,,ვინ?" და ,,რა?" კითხვის მიხედვით.

სავარჯიშო 10 ქულიანია და შედგება 5 საკითხისგან, შესაბამისად, თითოეულის საკითხის ქულა არის 2.

მაგალითი:
რამდენი ადამიანის სახელია წინადადებაში:
,,მარიამი და დათო ბიბლიოთეკაში წიგნებს კითხულობდნენ."
ა) ერთი **ბ) ორი** გ) სამი

სავარჯიშო 2: მოქმედების გამომხატველი სიტყვები და მათი დრო

სავარჯიშო ეფუძნება ზმნის, როგორც მოქმედების აღმნიშვნელის ამოცნობასა და მისი დროის დადგენას (წარსული, აწმყო, მომავალი). მოსწავლემ უნდა შეძლოს წინადადებაში მოქმედების დროის განსაზღვრა.

სავარჯიშო 10 ქულიანია და შედგება 5 საკითხისგან, შესაბამისად, თითოეულის საკითხის ქულა არის 4.

მაგალითი:
როდის ხდება მოქმედება მოცემულ წინადადებაში? ,,ბავშვები თამაშობდნენ ეზოში და ჩიტებს უყურებდნენ."
ა) აწმყოში **ბ) წარსულში** გ) მომავალში

სავარჯიშო 3: მსგავსი და საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები

სავარჯიშოში მოსწავლემ უნდა ამოიცნოს სიტყვათა შინაარსობრივი კავშირი – მსგავსება ან წინააღმდეგობა. სავარჯიშო შეიცავს 5 საკითხს. თითოეული შეფასებულია 4 ქულით. ჯამური ქულაა **20**.

მაგალითი:
როგორი მნიშვნელობისაა სიტყვები: ,,სწრაფი – ნელი"
ა) მსგავსი მნიშვნელობის **ბ) საპირისპირო მნიშვნელობის** გ) არ აქვთ მნიშვნელობა

სავარჯიშო 4. ნაცვალსახელები

მოსწავლემ უნდა ამოიცნოს და გამოიყენოს პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელები სწორად პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით.

სავარჯიშო 10 ქულიანია და შედგება 5 საკითხისგან, შესაბამისად, თითოეულის საკითხის ქულა არის 20.

მაგალითი:
რომელ წინადადებაშია გამოყენებული პირველი პირის ნაცვალსახელი?
ა) ნინიმ წაიღო რვეული **ბ) მე სკოლაში დავდივარ** გ) ბავშვები გაკვეთილზე იყვნენ

სავარჯიშო 5. ტექსტის გააზრება

მოსწავლე გაეცნობა მცირე ზომის მარტივ მხატვრულ ნაწარმოებს. მან უნდა შეძლოს ტექსტის შინაარსის გაგება, სიტყვების მნიშვნელობის გააზრება და დასკვნების გამოტანა.

სავარჯიშო მოიცავს 10 საკითხს, ჯამში შეფასებულია 40 ქულით, თითოეული საკითხი არის 4 ქულიანი.

ტესტის შემდეგ დამატებით მოცემულია **ბონუს სექცია**, რომელიც აერთიანებს 5 შეკითხვას, თითო 5 ქულიანს.
ეს ნაწილი ჩვენი პარტნიორებისგანაა და საშუალებას აძლევს მოსწავლეს, ტესტში დაშვებული შეცდომები აანალიზოს დამატებითი ქულების საშუალებით.

დამატებით სამეცადინოდ შეგიძლიათ ნახოთ ოლიმპიადისათვის <u>მოსამზადებელი ტესტები.</u>

მოსამზადებელ ტესტებს ოლიმპიადის I ტურის მსგასვი სტრუქტურა აქვს, I ტურის მსგავსად მოსწავლეს ეძლევა 1 საათი ტესტის საწერად და რაც მთავარია, აქვს შესაძლებლობა გადახედოს დაშვებულ შეცდომებს და ოლიმპიადის I ტურზე გაითვალისწინოს/უკეთ მოემზადოს კონკრეტულ საკითხში.